ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 2/06

ქ. თბილისი 11 თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი პერტაიას სახით (შემდგომში შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, ი.მ. ,,მაკა კვანტალიანი" წარმოდგენილი მაკა კვანტალიანის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის ,,ს" პრიმა ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თარგნმის მომსახურება (CPV კოდი: 79530000) (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, შეადგენს 85 (ოთხმოცდახუთი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ღირებულება მოცემული იქნება უცხოური ვალუტის ექვივალენტ ლარში, მხარეთა შეთანხმებით გაცვლითი კურსი გამოანგარიშებული იქნება მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. მიწოდების ადგილი და პირობები

5.1. მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს საკუთარ მისამართზე

5.2. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს 2013 წლის 11 თებერვლიდან 2013 წლის 21 თებერვლის ჩათვლით.

6. მომახურების ხარისხი

6.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების ხარისხზე.

6.2 უხარისხო (წუნდებული) მომსახურების გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაუზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისას ნაკლის ან/და დეფექტის გამოვლენიდან 5 დღეში წერილობით აცნობოს მას ამის თობაზე;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მას ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. შეტყობინების ფორმა

9.1 ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი ყველა შეტყობინება და ინფორმაცია უნდა იყოს:
ა) გაფორმებული წერილობით;
ბ) ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;
გ) გადაცემული პირადად ან დაზღვეული წერილით.
9.2 გამონაკლის შემთხვევებში მხარეები შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ შეტყობინების ელექტრონული ან საკაბელო არხებით, ტელეფონით ან ფაქსით, ან მყისიერი გადაცემის სხვა მექანიზმის გამოყენებაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე გაფრთხილებს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 11 თებერვლიდან და მოქმედებს 21 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ N8
საიდენტიფიკაციო კოდი: 204990082
ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი: 220101222
ა/ა # 200122900

დირექტორი
გიორგი პერტაია

მიმწოდებელი:
ინდ. მეწარმე ,,მაკა კვანტალიანი"

მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 01011066963
ს/ს ბანკი ქართუ
ბანკის კოდი: CRTUGE22
ა/ა # GE87CR0030086126913602

ინდ. მეწარმე
მაკა კვანტალიანი